არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის მოსამართლეთა და
მაგისტრ მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაცია

არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის მოსამართლეთა და მაგისტრ მოსამართლეთათვის სამოსამართლო ეთიკის რეკომენდებულ პრინციპებზე მომუშავე კომიტეტის ანგარიში

2010 წლის 17 მარტი

2010 წლის 24 აპრილს, ჰამამეტში, ტუნისში გამართულ შეხვედრაზე
არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის მოსამართლეთა და მაგისტრ მოსამართლეთა
საერთაშორისო ასოციაციის გენერალურმა ასამბლეამ
ერთხმად მიიღო ანგარიში და რეკომენდაციები
არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის
მოსამართლეთა და მაგისტრ მოსამართლეთა
სამოსამართლო ეთიკის პრინციპების შესახებ,
რომელიც თან ერთვის წინამდებარე დოკუმენტს

არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის მოსამართლეთა და მაგისტრ მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის (IAYFJM) საბჭომ კომიტეტს სამოსამართლო ეთიკის პრინციპების შესახებ რეკომენდაციათა მომზადება დაავალა. ეს იქნება სახელმძღვანელო პრინციპი როგორც ასოციაციის წევრებისათვის, ასევე არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის საკითხებზე მომუშავე სხვა მოსამართლეებისა და მაგისტრ მოსამართლეებისათვის.

კომიტეტის წევრები:
მუჰამედ იმან ალი (ბანგლადეში)
ლუსიენ ბოლიო (კანადა)
ანდრიუ ბეკროფტი (ახალი ზერლანდია)
ნიკ კრიჩტონი (გაერთიანებული სამეფო)
ლუიჯი ფადიგა (იტალია)
მარია ფონტემაჩი (არგენტინა)
ბანკოლ ტომფსონი (სიერა ლეონე)
ჟან ტრეპანიერი (კანადა, თავჯდომარე)

რამდენადაც კომიტეტის წევრები სხვადასხვა კომიტეტის წარმომადგენლები იყვნენ და სამუშაო შეხვედრების დასაფინანსებლად საკმარისი ბიუჯეტი არ არსებობდა, კომიტეტის წევრებს შორის კომუნიკაცია ექსკლუზიურად ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ხორციელდებოდა, რაც ინფორმაციის მიმოცვლისა და დისკუსიების თვალსაზრისით გარკვეულ შეზღუდვებს გულისხმობდა. სწორედ ამიტომ კომიტეტს ადგილობრივი სამუშაო ჯგუფი ეხმარებოდა, რომელიც მონრეალში (კანადაში) იყო დაფუძნებული და რომლის წევრებს საშუალება ჰქონდათ შეკრებილიყვნენ, პირდაპირ დისკუსია გაემართათ, მოემზადებინათ რეკომენდაციები. ადგილობრივი მუშა ჯგუფის წევრები იყვნენ:

ოსკარ დამურისი (IAYFJM-ის ვიცე პრეზიდენტი)

პიერ ნორო (მონრეალის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პროფესორი და სამოსამართლო ეთიკის საკითხთა სპეციალისტი)

ჰუჯეტ სან-ლუისი (კვებეკის სასამართლოს ყოფილი მთავარი მოსამართლე)

ჟან ტრეპანიერი (თავჯდომარე)

ადგილობრივმა სამუშაო ჯგუფმა მოამზადა რეკომენდაციების პირველი ვერსია. მოგვიანებით დოკუმენტი კომიტეტის წევრებმა და ადგილობრივი მუშა ჯგუფის წევრებმა განიხილეს, საკუთარი მოსაზრებები გაუზიარეს ერთამენთს და შეთანხმდნენ დოკუმენტის საბოლოო ვერსიაზე. წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია კომიტეტის მიერ მომზადებული რეკომენდაციები, რომელიც გახლავთ შედეგი აზრთა მიმოცვლისა და დისკუსიებისა, რომელიც ბევრი საკმაოდ რთული საკითხის დაკონკრეტებასა და განმარტებას ემსახურება. დავალების შესრულებისას კომიტეტის წევრების მიერ გამოვლენილი თანამშრომლობის მიუხედავად მაინც იყო საკითხები, რომელზეც კომიტეტის წევრებს განსხვავებული მოსაზრებები გააჩნდათ, რაც აბსოლუტურად ნორმალურია თუ კი გავითვალისწინებთ, რომ სხვადასხვა წარსულის, კულტურისა და სამართლებრივი ტრადიციების მქონე მოსამართლეებს და მაგისტრ მოსამართლეებს განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ სამოსამართლო ეთიკის პრინციპების მიდგომებთან დაკავშირებით. ამიტომ მთავარი მიზანი იყო ისეთი კომიტეტის არსებობა, რომელიც IAYFJM-ში არსებული მრავალფეროვნების წარმომადგენლობით იქნებოდა და რომელიც ასოციაციის წევრებისთვის მისაღებ პრინციპებს შეიმუშავებდა. კომიტეტის მიზანი იყო ისეთი პრინციპების შემუშავება, რომლებიც იქნებოდა გასაგები და რელევანტური და ამავდროულად სხვადასხვა ქვენებისათვის გამოყენებადი იქნებოდა.

ანგარიში ორი ნაწილისგან შედგება. პირველში წარმოდგენილია სამოსამართლო ეთიკის რეკომენდირებული პრინციპები, ხოლო მეორეში ამ პრინციპებთან დაკავშირებული დასკვნები და განმარტებები.

სამოსამართლო ეთიკის რეკომენდირებული პრინციპები
არასრულწლოვანთა საოჯახო სამართლის მოსამართლეებისა[1] და მაგისტრი მოსამართლეებისათვის

ვითვალისწინებთ რა, მოსამართლეთა ქცევის შესახებ ბანგალორის პრინციპებს[2] აქვს საყოველთაო მიზანი და შემუშავებული, მიღებული და აღიარებულია საერთაშორისო სამართლით[3];

ვითვალისწინებთ რა, რომ ბანგალორის პრინციპები განკუთვნილია ზოგადად მოსამართლეებისა და მაგისტრი მოსამართლეებისათვის, მათ შორის ბავშვთა, არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის საკითხებზე მომუშავე მოსამართლეებისათვის.

ვითვალისწინებთ რა, რომ არასრულწლოვანთა და საოჯახო საქმეებზე სასამართლო პრაქტიკა ხასიათდება თავისებურებებით, განსხვავებული საზომითა და აქცენტებით, რაც სხვებთან ერთად ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციით არის განცხადებული.

ვითვალისწინებთ რა, რომ საჭიროა ბანგალორის პრინციპებში აღწერილი მახასიათებლების/ღირებულებების განმტკიცება მათი ბავშვთა ან არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის კონკრეტულ კონტექსტში მოქცევით:

რეკომენდირებულია შემდეგი პრინციპების მიღება:

1. მოსამართლე ვალდებულია აღასრულოს მართლმსაჯულება კანონის უზენაესობის ფარგლებში, ბავშვთა, არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის საკითხებთან დაკავშირებული კონვენციების, საერთაშორისო და რეგიონალური დეკლარაციებისა და წესების დაცვით.
2. მოსამართლემ მართლმსაჯულების განხორციელებისას უნდა შეინარჩუნოს პირადი დამოუკიდებლობა და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა.
3. მოსამართლე უნდა იყოს სრულიად მიუკერძოებელი, რაც არ გულისხმობს წინააღმდეგობაში ყოფნას მის თანამდებობრივ და საკანონმდებლო ვალდებულებასთან გაითვალისწინოს ბავშვთა და არასრულწლოვანთა ჭეშმარიტი ინტერესი, ან მოახდინოს ამ უკანასკნელის ინტერესის ჰარმონიზება საზოგადოებისა და დაზარალებულების ინტერესებთან.
4. მოსამართლის მოვალეობების განხორციელებისას მოსამართლე უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად.
5. მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს პროცესის წარმართვა იმგვარად, რომ ყველა მონაწილეს, მათ შორის ბავშვს ან არასრულწლოვანს, მის ოჯახის წევრებს და არსებობის შემთხვევაში ბრალდებულს და დაზარალებულს მიეცეთ საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება.
6. მოსამართლემ ნათლად უნდა განმარტოს მის მიერ მიღებული

[1] წარმოდგენილ ტექსტში ტერმინი, „მოსამართლე“ ასევე გულისხმობს „მაგისტრ მოსამართლეს“.

[2] ბანგალორის პრინციპები მოსამართლეთა ქცევის შესახებ, 2002 (სამოსამართლო ქცევის შესახებ ბანგალორის კოდექსის სამუშაო ვერსია 2001 წელს იქნა მიღებული მოსამართლეთა ერთიანობის მხარდაჭერის ჯგუფის მიერ. ხოლო 2002 წლის 25-26 ნოემბერს, ჰაგაში მთავარ მოსამართლეებთან გამართული შეეხვედრისას განხორციელდა მასში ცვლილებების შეტანა).

[3] იხ. სასამართლო ერთიანობის ჯგუფი, კომენტარი მოსამართლეთა ქცევის შესახებ ბანგალორის პრინციპებთან დაკავშირებით, 2007 წლის მარტი.
http://www.coe.int/t/dghl/cooperation/ccje/textes/BangalorePrinciplesComment.PDF

გადაწყვეტილებების საფუძველი და უზრუნველყოს რომ მისი გადაწყვეტილება გასაგებია ბავშვის, ან არასრულწლოვანის, ან მასზე პასუხისმგებელი პირისათვის.

7. მოსამართლე უნდა იქცეოდეს გულისხმიერად და უნდა შეეძლოს კომუნიკაციის დამყარება ბავშვთან ან არასრულწლოვანთან და სხვა პირებთან მათთვის გასაგები ფორმით.
8. მოსამართლემ უნდა დაიცვას პროფესიული მოვალეობის განხორციელებისას მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომლის გამჟღავნება ან გამოყენება გამოიწვევს პროცესის მონაწილე ბავშვის, ან არასრულწლოვანის, ან მისი ოჯახის წევრების, ან პროცესის მონაწილე სხვა პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას.
9. სასამართლოსა და საზოგადოებაში მოსამართლე უნდა იქცეოდეს მისი პოზიციის შესაბამისად და ყოველთვის უნდა გამოიჩინოს საჭირო თავშეკავება.
10. მოსამართლე ვალდებულია უზრუნველყოს პროცესის მონაწილეთა კანონის წინაშე თანასწორობა და პატივისცემით მოპყრობა და გაითვალისწინოს თითოეული პირის ასაკი, სქესი, სოციალური მდგომარეობა ან სხვა გარემოება.
11. მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს პროფესიული კომპეტენცია, როგორც სასამართლოში, ასევე სხვა სფეროში, რომლებიც უკავშირდება მისი სასამართლო ვალდებულებების შესრულებას.
12. მოსამართლემ უნდა იმოქმედოს დროულად და კეთილსინდისიერად ბავშვის ან არასრულწლოვანის მოლოდინების გათვალისწინებით.

დასკვნები და განმარტებები

პრეამბულა

ვითვალისწინებთ რა, მოსამართლეთა ქცევის შესახებ ბანგალორის პრინციპებს[4] აქვს საყოველთაო მიზანი და შემუშავებული, მიღებული და აღიარებულია საერთაშორისო სამართლით[5].

ვითვალისწინებთ რა, რომ ბანგალორის პრინციპები განკუთვნილია ზოგადად მოსამართლეებისა და მაგისტრი მოსამართლეებისათვის, მათ შორის ბავშვთა, არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის საკითხებზე მომუშავე მოსამართლეებისათვის.

ვითვალისწინებთ რა, რომ არასრულწლოვანთა და საოჯახო საქმეებზე სასამართლო პრაქტიკა ხასიათდება თავისებურებებით, განსხვავებული საზომითა და აქცეპტებით, რაც სხვებთან ერთად ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციით არის განცხადებული.

ვითვალისწინებთ რა, რომ საჭიროა ბანგალორის პრინციპებში აღწერილი მახასიათებლების/ღირებულებების განმტკიცება მათი ბავშვთა ან არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის კონკრეტულ კონტექსტში მოქცევით:

რეკომენდირებულია შემდეგი პრინციპების მიღება:

პრეამბულა ეხება ბანგალორის პრინციპებს მოსამართლეთა ქცევის შესახებ. ეს პრინციპები არსებული ფორმით 2002 წელს მიიღეს ინტენსიური კონსულტაციების შედეგად. პრინციპები საერთაშორისოდ იქნა აღიარებული ისეთი ინსტიტუტების მეიერ, როგორიცაა გაეროს სოციალური და ეკონომიკური საბჭო, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, იურისტთა საერთაშორისო კომისია და ამერიკის საერთაშორისო საოციაცია. პრინციპები ლეგიტიმურია და ისინი ყველა სახის იურისდიქციის მქონე მოსამართლეებზე და მაგისტრ მოსამართლეებზე ვრცელდება, მათ შორის არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის მოსამართლეებზე. პრეამბულაში მათი მოხსენიება გახლავთ ერთგვარი აღიარება იმისა, თუ რა კავშირში არიან ისინი არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის მოსამართლეებთან და მაგისტრ მოსამართლეებთან.

მიუხედავად ამისა, არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის მოსამართლეებს და მაგისტრ მოსამართლეებს საკმაოდ სპეციალიზებულ გარემოში უხდებათ მუშაობა, რომელსაც საკუთარი მახასიათებლები გააჩნია. შესაბამისად სასურველია არსებობდეს კონკრეტული ეთიკის პრინციპები. მსგავსი დამატებითი ელემენტების არსებობა შესაძლოა რამდენიმე მიზანს ემსახურებოდეს. მახასიათებლები, რომელებიც ბანგალორის პრინციპებს უდევს საფუძვლად კიდევ უფრო გამყარდება და უფრო მეტი აქცენტი იქნება გადატანილი

---

[4] ბანგალორის პრინციპები მოსამართლეთა ქცევის შესახებ, 2002 (სამოსამართლო ქცევის შესახებ ბანგალორის კოდექსის სამუშაო ვერსია 2001 წელს იქნა მიღებული მოსამართლეთა ერთიანობის მხარდაჭერის ჯგუფის მიერ. ხოლო 2002 წლის 25-26 ნოემბერს, ჰააგაში მთავარ მოსამართლეებთან გამართული შეეხვედრისას განხორციელდა მასში ცვლილებების შეტანა).

[5] იხ. სასამართლო ერთიანობის ჯგუფი, კომენტარი მოსამართლეთა ქცევის შესახებ ბანგალორის პრინციპებთან დაკავშირებით, 2007 წლის მარტი.
http://www.coe.int/t/dghl/cooperation/ccje/textes/BangalorePrinciplesComment.PDF

სწორედ ამ განზომილებებზე, რომლებიც განსაკუთრებით რელევანტურია არასრულწლოვანთა და საოჯახო საქმეებთან მიმართებაში. ისინი უფრო ძლიერ პასუხისმგებლობას აკისრებენ არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის მოსამართლეებსა და მაგისტრ მოსამართლეებს. ხელს უწყობს არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის საკითხებზე მომუშავე პირთა როლისა და სამუშაოს უკეთესად გააზრებას, სამოსამართლო ეთიკის პრინციპების პოპულარიზაციას ამგვარ სპეციალიზებულ იურისდიქციაში მესამე მხარეებთან (რომლებიც არიან სახელმწიფოები, არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის სასამართლოებთან კავშირში მყოფი პირები და ფართო საზოგადოება) მსგავსი დამატებითი პრინციპების მიღების შემთხვევაში, შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს უზრუნველვყოთ, რომ ეს პრინციპები მოიცავდეს ბანგალორის პრინციპების ყველა ძირითად მახასიათებლებთან კავშირს, თუნდაც ერთი და იგივე აზრის ხშირ განმეორებას გულისხმობდეს: ბევრმა მოსამართლემ და მაგისტრმა მოსამართლემ შეიძლება არც იცოდეს *ბანგალორის პრინციპების* შესახებ და ასეთ შემთხვევაში მათთვის სასარგებლო იქნება არსებობდეს დოკუმენტი, რომელიც *ბანგალორის პრინციპთან* კავშირის მიუხედავად ძირითადად დამოუკიდებელია.

შესაბამისად, დამატებითი პრინციპები პირველ რიგში უნდა ემსახურებოდეს იმ მახასიათებლების, ან პრინციპების განმტკიცებას, რომლებიც შესაძლოა უკვე განცხადებულია ბანგალორის პრინციპებით. მაგრამ მათი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია მათი პერეფრაზირება იმგვარად რომ უფრო კარგად იყოს მორგებული არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართალთან. მეორეს მხრივ, შესაძლოა ასევე მართებული იყოს ისეთი მახასიათებლების მითითება, რომლებიც ბანგალორის პრინციპებს უდევს საფუძვლად, თუნდაც ისინი კონკრეტულად არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის საკითხებს არ ეხებოდეს, თუკი ამგვარი მითითება რეკომენდირებულ პრინციპებს მინიმალური ხარისხის ავტონომიას ანიჭებს.

პრინციპი 1:

მოსამართლე ვალდებულია აღასრულოს მართლმსაჯულება კანონის უზენაესობის ფარგლებში, ბავშვთა, არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის საკითხებთან დაკავშირებული კონვენციების, საერთაშორისო და რეგიონალური დეკლარაციებისა და წესების დაცვით.

ამ პრინციპის ექვივალენტი ბანგალორის პრინციპში არ მოიძებნება, თუმცა ის აშკარად ეთანხმება ბანგალორის პრინციპებით გაცხადებულ ღირებულებას. ეს ნათლად ჩანს ბანგალორის პრინციპების პრეამბულის მეხუთე აბზაცში, სადაც ნახსენებია, რომ მოსამართლეებმა ხელი უნდა შეუწყონ კანონის უზენაესობის დაცვას. სასურველად იქნება მიჩნეული ამასთან დაკავშირებით კონკრეტული რეკომენდაციების დართვა და იმის უზრუნველყოფა, რომ ისინი კონკრეტულად არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართალზე იყოს მორგებული.

ფრაზა „ბავშვები და არასრულწლოვნები“ რომლებიც ამ პრინციპშია გამოყენებული ისევე როგორც სხვებში, მიუთითებს იგივე ცნებაზე, რაც ნაგულისხმევია ტერმინში „ბავშვი“ ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციაში. შესაბამისად საერთაშორისო სამართლის პოზიციიდან გამომდინარე, ტერმინი „არასრულწლოვნები“ არ არის „ბავშვზე“ უფრო ფართო ცნება. ეს დამატება სასურველად იქნება მიჩნეული იმ ფაქტების გათვალისწინებით, რომ ჩვეულებრივ ლექსიკონში, ასევე ზოგიერთი ქვეყნის კანონებში, ბავშვები და არასრულწლოვნები შესაძლოა სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიად განიხილებოდეს – ბავშვები უფრო ახალგაზრდათა ჯგუფად და არასრულწლოვნები როგორც მოზარდები, და ეს უკანასკნელი წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფს, რადგან მათზე მოდის ყველაზე დიდი წილი ვისაც ურთიერთობა აქვს ბავშვთა, არასრულწლოვანთა და საოჯახო სასამართლოებთან.

პრინციპი 2:

მოსამართლემ მართლმსაჯულების განხორციელებისას უნდა შეინარჩუნოს პირადი დამოუკიდებლობა და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა.

ბანგალორის პრინციპების პირველი პრინციპი მოსამართლის დამოუკიდებლობის სხვადასხვა ასპექტებს ეხება. ამის მიუხედავად რეკომენდირებულია წინამდებარე პრინციპის აქ განთავსება, თუნდაც მისი შინაარსი კონკრეტულად არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის მოსამართლეების მუშაობასთან არ იყოს დაკავშირებული. ჩვენი პრინციპები ბანგალორის პრინციპების უმეტეს ფასეულობათა სხვა ასპექტებსაც (მიუკერძოებლობა, კეთილსინდისიერება, ეთიკური ნორმების დაცვა, თანასწორობა, კომპეტენტურობა და ერთგულება) ეხება. მნიშვნელობის თვალსაზრისით, მართებულად იქნება მიჩნეული დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული რეკომენდაციის დართვა იმ მოსაზრებით, რომ არ შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ეს ასპექტები ნაკლებად მნიშვნელოვანია სხვებთან შედარებით და ამიტომ არ არის ნახსენები. ამით ასევე უზრუნველყოფილი იქნა ის, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებები განცხადებულია ჩვენს პრინციპებში.

პრინციპი 3:

მოსამართლე უნდა იყოს სრულიად მიუკერძოებელი, რაც არ გულისხმობს წინააღმდეგობაში ყოფნას მის თანამდებობრივ და საკანონმდებლო ვალდებულებასთან, გაითვალისწინოს ბავშვთა და არასრულწლოვანთა ჭეშმარიტი ინტერესი ან მოახდინოს ამ უკანასკნელის ინტერესის ჰარმონიზება საზოგადოებისა და დაზარალებულების ინტერესებთან.

ამ პრინციპის ძირითადი ელემენტი მიუკერძოებლობაა: მოსამართლე აშკარად მიუკერძოებელი უნდა იყოს.

ამ ღირებულებასთან დაკავშირებით არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის საკითხებში შესაძლოა წარმოიშვას კონკრეტული პრობლემა: ზოგიერთების აზრით ბავშვის ან არასრულწლოვანის ინტერესების გათვალისწინება შეიძლება რაღაც დონით მიკერძოებულობას გულისხმობდეს. პრინციპის მეორე ნაწილი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეს ვალდებულება რაიმე ფორმით მიკერძოების საფუძვლად არ უნდა იქნეს გამოყენებული. ამ პრინციპის აქ წარმოდგენის მიზანი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ბავშვის ინეტერესის დაცვის მნიშვნელობის დადასტურება არ არის – რაც უფრო არსებით კანონად შეიძლება იქნას განხილული ვიდრე სასამართლო ქცევა – არამედ არასრულწლოვანთა და საოჯახო საქმეებში მიუკერძოებლობის მნიშვნელობის დასტურია.

სისხლის სამართლის საქმეებში ბავშვის ან არასრულწლოვნის ინტერესის უპირატესობის ხარისხთან დაკავშირებით ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები არსებობს. პრინციპის მეორე ნაწილის სხვადასხვა სამართლებრივი ტრადიციებისათვის მისაღებად რომ იყოს ფორმულირებული, პრინციპი აღიარებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ბავშვის ან არასრულწლოვანის ინტერესი ჰარმონიზებული უნდა იყოს საზოგადოებისა და დაზარალებულის ინტერესებთან (გადაწყვეტილებებში მათი შედარებითი უპირატესობის საკითხის მოხსენიების გარეშე) ეს პრინციპი ასევე აკმაყოფილებს *პეკინის წესების* მოთხოვნებსაც (იხ. 5 და 17 წესი).

პრინციპი 4:

მოსამართლის მოვალეობების განხორციელებისას მოსამართლე უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად.

კეთილსინდისიერების საკითხი ბანგალორის პრინციპებში მესამე პრინციპშია განხილული (იხ. პრინციპი 3). ამის მიუხედავად, მართებულად იქნა მიჩნეული ამ საკითხის წინამდებარე პრინციპებში ხსენება იმავე მიზეზის გამო, რომლებიც მეორე პრინციპშია გაცხადებული.

პრინციპი 5:

მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს პროცესის წარმართვა იმგვარად, რომ ყველა მონაწილეს, მათ შორის ბავშვებს ან არასრულწლოვანს, მისი ოჯახის წევრებს და არსებობის შემთხვევაში ბრალდებულს და დაზარალებულს მიეცეთ საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება.

ამ პრინციპის ექვივალენტი ბანგალორის პრინციპში არ მოიძებნება. თუმცა ეს პრინციპი გარკვეულწილად პროცედურულ სამართალს წააგავს, ის შეიძლება ასევე მოსამართლეთა ქცევის კუთხიდაც იქნეს განხილული და ის ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის, არასრულწლოვნისა და საოჯახო სასამართლო საქმეებისას.

პრინციპი 6:

მოსამართლემ ნათლად უნდა განმარტოს მის მისერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველი და უზრუნველყოს, რომ მისი გადაწყვეტილება გასაგებია ბავშვის, ან არასრულწლოვანის, ან მასზე პასუხისმგებელი პირისათვის.

ნაკლებად მოსალოდნელია რომ მოსამართლის გადაწყვეტილებამ დადებითი გავლენა მოახდინოს ბავშვზე, არასრულწლოვანზე ან ოჯახზე იმ შემთხვევაში, თუკი ისინი მიღებულ გადაწყვეტილებას სათანადოდ ვერ გაიგებენ. არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის საქმეების მონაწილეები ხშირად მწირი განათლების მქონე პირები არიან, შესაბამისად შეიძლება არ იცნობენ სასამართლო პროცედურებს და არ ესმოდეთ, თუ რა ხდება პროცესში რომლის მონაწილეებიც არიან. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას მათ მიერ საქმეებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების და ამ გადაწყვეტილებათა მიღების საფუძვლის სწორად გაგება.

პრინციპი 7:

მოსამართლე უნდა იქცეოდეს გულისხმიერად და უნდა შეეძლოს კომუნიკაციის დამყარება ბავშვთან ან არასრულწლოვანთან და სხვა პირებთან მათთვის გასაგები ფორმით.

ეს პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა და საოჯახო საქმეებთან, როგორც მათი შინაარსის, ასევე საქმეების მონაწილე პირების გამო. ამ პრინციპის *ბანგალორის პრინციპებში* შესაბამისი ექვივალენტი არ გააჩნია.

პრინციპი 8:

მოსამართლემ უნდა დაიცვას პროფესიული მოვალეობის განხორციელებისას მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომლის გამჟღავნება ან გამოყენება გამოიწვევს პროცესის მონაწილე ბავშვის , ან არასრულწლოვანის,

ან მისი ოჯახის წევრის, ან პროცესის მონაწილე სხვა პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას.

წარმოდგენილი პრინციპი არასრულწლოვანთა და საოჯახო საქმეებთან დაკავშირებულ კონფიდენციალობის დაცვის პრინციპს ეხება, რომელიც *ბანგალორის პრინციპების* 4.10 პრინციპშია გაცხადებული.

პრინციპი 9:

სასამართლოსა და საზოგადოებაში მოსამართლე უნდა იქცეოდეს მისი პოზიციის შესაბამისად და ყოველთვის უნდა გამოიჩინოს საჭირო თავშეკავება.

ბანგალორის პრინციპების რამოდენიმე აბზაცში (4.1) საუბარია მოსამართლეთა მიერ ეთიკურ ნორმების დაცვის კონკრეტულ ასპექტებზე. ამიტომ საჭიროდ იქნა მიჩნეული ამ ასპექტებიდან არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის მოსამართლეთა შესაბამისი ასპექტების ერთ მოკლე პრინციპად ჩამოყალიბება, თუნდაც წარმოდგენილი ფორმულირება კონკრეტულად არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის მოსამართლეებს არ გულისხმობს.

პრინციპი 10:

მოსამართლე ვალდებულია უზრუნველყოს პროცესის მონაწილეთა კანონის წინაშე თანასწორობა და პატივისცემით მოპყრობა და გაითვალისწინოს თითოეული პირის ასაკი, სქესი, სოციალური მდგომარეობა ან სხვა გარემოება.

პრინციპში საუბარია ორ ფასეულობაზე: თანასწორობა და პატივისცემა.

თანასწორობის საკითხი ბანგალორის პრინციპში რამდენიმე აბზაცში (5.1) არის განხილული. წარმოდგენილი მეათე პრინციპი გახლავთ ერთგვარი დამატება ბანგალორის პრინციპებისა და აცხადებს, რომ მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს თითოეული პირის კონკრეტული თავისებურებები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთან და საოჯახო საქმეებთან მიმართებაში.

პრინციპი 11:

მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს პროფესიული კომპეტენცია, როგორც სამართალში, ასევე სხვა სფეროში, რომლებიც უკავშირდება მისი სამოსამართლო ვალდებულებების შესრულებას.

ბანგალორის პრინციპრბი ასევე მოიხსენიებს კომპეტენციის საკითხს (პრინციპი 6.3), თუმცა მათში საუბარი არ არის სამართლის გარდა სხვა სფეროში კომპეტენციის შენარჩუნების საჭიროებაზე. მიუხედავად ამისა, ამგვარი საჭიროება განსაკუთრებით

აქტუალურია არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის სასამართლო პრაქტიკასთან მიმართებაში, სადაც მუდმივად ხდება სხვადახვა პროფესიის ადამიანების, როგორებიცაა ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, სოციალური მუშაკი, კრიმინალისტი და სხვა კომპეტენციების გადაკვეთა. წარმოდგენილი პრინციპის ამგავარად ფორმულირებაც ამით იყო განპირობებული.

პრინციპი 12:

> *მოსამართლემ უნდა იმოქმედოს დროულად და კეთილსინდისიერად ბავშვის, ან არასრულწლოვანის მოლოდინების გათვალისწინებით.*

დროულობა და კეთილსინდისიერება ბანგალორის პრინციპებში ძალიან მოკლედაა ნახსენები (პრინციპი 6.5), მაგრამ არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის საქმეების წარმოებისას ეს უმნიშვნელოვანესი საკითხებია. წარმოდგენილი პრინციპის არსებობის საჭიროებაც ამით იყო განპირობებული.